ბრძანება:**ბ42. 422422810**
თარიღი:**15/08/2024**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე, 53-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 76-ე მუხლის, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი 4 - ის და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 თებერვლის ბ42.42240599 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლექსო თოდუას.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია, მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებელის ქ. №3) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი